BGA ROAR

NEWSLETTER BY British–Georgian Academy

ძვირფასო მშობლებო

დასრულდა 2023-2024 სასწავლო წელი, რომელიც უამრავი საინტერესო მოვლენითა და ღონისძიებით იყო დატვირთული. ჩვენმა მოსწავლეებმა ნამდვილად დაიმსახურეს დასვენება და ძალების აღდგენა. იმედი გვაქვს, ყველას არაჩვეულებრივი ზაფხული გექნებათ!

მოდით, თვალი გადავავლოთ, როგორი იყო ამ აკადემიური წლის ბოლო თვე ბრიტანულ-ქართული აკადემიის მოსწავლეებისათვის.

საერთაშორისო ახალგაზრდულ თეატრალურ ფესტივალზე გამარჯვებულმა მიუზიკლმა ბირმინჰემიდან თბილისში გადმოინაცვლა, წარმატებით ჩატარდა დებატების საერთაშორისო კონკურსი, მოეწყო ოქროს მკითხველთა დაჯილდოება, ევროპის ჩემპიონატის განწყობამ ჩვენი აკადემიაც აახმაურა და გამოცდებიც დასრულდა, როგორც სადიპლომო პროგრამის, ისე საშუალო და საბაზო საფეხურის მოსწავლეებისათვის.

ხელოვნების კონკურსი

გვინდა სიხარულით გაცნობოთ, რომ საერთაშორისო კონკურსში Black Sea Schools Art Competition ჩვენი სკოლის მეათეკლასელებმა გაიმარჯვეს, კერძოდ, თეკლა ჯაფიაშვილმა და ნინი შუბითიძემ პირველი ადგილი დაიმსახურეს, ხოლო ნატალი ნიქაბაძემ — მეორე. ვულოცავთ ჩვენს მოსწავლეებს ამ დიდ წარმატებას და ვუსურვებთ კიდევ უფრო მეტ წინსვლას.

EURO 2024

ევროპის ჩემპიონატის მატჩების პარალელურად ბრიტანულ-ქართულ აკადემიაში ნამდვილი საფეხბურთო განწყობაა. მოსწავლეებმა სხვადასხვა აქტივობით ერთად აღნიშნეს საქართველოს ნაკრების ისტორიული ასპარეზობა და გადაწყვიტეს, საქართველოდან გაემხნევებინათ ფეხბურთელები. ერთი კვირის მანძილზე ჩატარდა ასამბლეა, გუნდური ვიქტორინა, დარიგდა საჩუქრები. გარდა ამისა, მოეწყო ევროპის ჩემპიონატის კუთხე, სადაც მოსწავლეებს შეეძლოთ საკუთარი პროგნოზები დაეფიქსირებინათ. აქვე იყო განლაგებული დღიური, რომელშიც მოსწავლეებმა სამახსოვრო, გასამხნევებელი შეტყობინებები დაუტოვეს ფეხბურთელებს. ამ თბილ და გულწრფელ შეტყობინებებს ნაკრებს გადავცემთ.

ოქროს მკითხველთა დაჯილდოება

დაწყებითი საფეხურის მე-2-მე-5 კლასის მოსწავლეები ინგლისური წიგნის კლუბის ფარგლებში ამჯერად უკვე ოქროს მკითხველის სტატუსით დაჯილდოვდნენ. ოქროს მკითხველის რანგს მოსწავლე მინიმუმ 21 წიგნის წაკითხვისა და განხილვის შედეგად იმსახურებს. ბავშვებმა ასევე მიიღეს პრიზები მონდომებისათვის, განსაკუთრებული ძალისხმევის გამოჩენისა და მოწესრიგებულობისათვის.

მიუზიკლი Disney's High School Musical Jr ქართულ სცენაზე

სიამაყით გაცნობებთ, რომ ბრიტანულ-ქართული აკადემიისა და თბილისის ბრიტანული საერთაშორისო სკოლის ერთობლივმა დასმა მიუზიკლი Disney's High School Musical Jr ქართული თეატრის სცენაზე გააცოცხლა. წარმოდგენები ორი დღის განმავლობაში, თეატრ სახელოსნო 42-ში მიმდინარეობდა. სპეციალური ჩვენება მოეწყო ბრიტანულ-ქართული აკადემიის მოსწავლეებისათვის. დარბაზი ყველა წარმოდგენაზე სავსე იყო, თავად სპექტაკლის მონაწილეები კი უზომოდ ბედნიერები იყვნენ, რომ მაყურებლების ამხელა სიყვარული დაიმსახურეს. შემოქმედებითი გუნდი 8 თვის განმავლობაში ემზადებოდა ამ სანახაობისათვის და შრომა ნამდვილად დაუფასდათ. ბრიტანულ-ქართული აკადემიის სახელით ვულოცავთ თეატრალურ დასს ბრწყინვალე წარმატებას.

შემეცნებითი ექსკურსიები მეცხრე და მეათეკლასელთათვის

მე-9, მე-10 კლასის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს სათავგადასავლო ტურში, რომლის მარშრუტიც იყო თბილისი - უძოს მონასტერი - თბილისი (კუს ტბა). ამგვარი გასვლითი ღონისძიებების მიზანია, მოსწავლეებმა სასკოლო სივრცისაგან განსხვავებულ, არაფორმალურ გარემოში განივითარონ და გამოავლინონ დროის მართვის, ორგანიზებულობისა და თანამშრომლობის უნარები. თითოეული მოსწავლე გრძნობდა როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ პასუხისმგებლობას კონკეტული გამოწვევების დაძლევაზე

GL საერთაშორისო გამოცდები საბაზო საფეხურის მოსწავლეთათვის

წარმატებით დასრულდა GL საერთაშორისო გამოცდები, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ საბაზო საფეხურის მოსწავლეები. გამოცდები სამ საგანში: ინგლისურში, მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში მიმდინარეობდა. მოსწავლეებს შესაძლებლობა ჰქონდათ, საკუთარი შესაძლებლობები მაქსიმალურად წარმოეჩინათ. მათი შეფასებით, გამოცდები საშუალო სირთულის იყო და უმეტესად მოიცავდა იმ საკითხებს, რომლებსაც მთელი წლის განმავლობაში სწავლობდნენ. საბოლოო შედეგებს მოსწავლეები ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე გაიგებენ.

WORLD SCHOLAR'S CUP

ბრიტანულ-ქართულმა აკადემიამ წელს დებატების საერთაშორისო ტურნირის The World Scholar's Cup-ის რეგიონალურ ტურს უმასპინძლა. აკადემიის მონაწილეები აქტიურად ჩაერთნენ ტურნირში და თავი შესანიშნავად წარმოაჩინეს. რეგიონალური ტურის გამარჯვებულებს უკვე შემდეგი, საერთაშორისო ტური ელით.

სპორტული სიახლეები

რა თქმა უნდა, სპორტულ ღონისძიებებში მხოლოდ მაყურებლების სტატუსით არ ვყოფილვართ ჩართულები — თავადაც ვქმნიდით სპორტულ სიახლეებს.

12 ივნისს BGA-ის გოგონების გუნდი ფრენბურთის ამხანაგურ მატჩში BIST-ს დაუპირისპირდა. თამაში ჩვენი მოსწავლეების გამარჯვებით დასრულდა.
16 ივნისს ასევე გაიმართა ფრენბურთში სკოლებს შორის ტურნირი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო BGA-ის და BIST-ის გაერთიანებულმა გუნდმა.

გარდა ამისა, სკოლაში მოეწყო სკოლამდელი აღზრდისა და დაწყებითი საფეხურის სპორტის დღეები, სადაც პატარა მოსწავლეებმა წლის განმალობაში შეძენილი სპორტული უნარები ესტაფეტების ფორმატში, სახალისო დაბრკოლებების გადალახვით წარმოაჩინეს.

ჯაუს ქულები

PIROSMANI	TAMAR MEPE	ILIA	RUSTAVELI
2327	2239	2167	1476